მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გახსნა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

22 სექტემბერს, 11:00 საათზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2018 თბილისის სახელმწფო უნივრსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში გაიხსნება. ფესტივჭლი უკვე მეოთხე წელია ტარდება. ფესტივალში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურადაა ჩართული და საზოგადოებას მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს სთავაზობს.

ფესტივალი 28 სექტემბრამდე გრძელდება და მრავალ ღონიძიებას მოიცავს. გახსნის დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კუთხესთან დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს შემეცნებითი პროგრამა "როგორ იქმნებოდა ხელნაწერი წიგნი შუა საუკუნეების საქართველოში". ასევე ქაღალდის დამზადების პროცესი, დამზადებულ ქაღალდზე ტექსტის გადაწერა ძველი ქართული კალიგრაფიული ნიმუშების მიხედვით, ხელნაწერი წიგნის აკინძვა და მისი შემკობა. აღსაღნიშნავია რომ აღწერილ პროცესში მნახველს საშუალება ექნება თვითონ ჩაერთოს და საკუთარი ხელით დაამზადოს ქაღალდი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიზანია საზოგადოებას, გასნაკუთრებით კი ახალგაზრდებს პრაქტიკული გზით მიაწოდოს ის ცოდნა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იყრიდა თავს ქართულ უნიკალურ ხელნაწერებში. სწორედ ამიტომ შეირჩა იმ პროცესების წარდგენა მნახველის წინაშე, რომელიც აღწერს ხელნაწერი წიგნის შექმნას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.manuscript.ge